სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/85

ქ. თბილისი

18 ივნისი 2020 წ.

ააიპ სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის სახელწოდების ცვლილებისა და მისი წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ივანე ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 ივნისის №19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეეცვალოს სახელწოდება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ერთობლივად შექმნილ „არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევით ცენტრს" და ეწოდოს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სამოქალაქო უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი";
2. დამტკიცდეს აღნიშნული ცენტრის წესდება (ახალი რედაქცია) წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
3. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული საკითხი;
4. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ივანე ჯაგოდნიშვილი;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**